

„ივანიშვიდი არ მიშვებს ქვეყანაში, „ნაციონალურ მოძრაობას“ ადგილზე სტირდება დიდერი“



დღეს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართება, რომელზეც სავარაუდოდ, პარტიის თავმჯდომარედ გრიგორ ვაშაძეს აირჩევენ.

როგორც საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვიდმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ვიდეომიმართვისას აღნიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სტირდება ადგილზე დიდერი, რომელიც დროშას აიტაცებს.

„ივანიშვიდი მე არ მიშვებს ქვეყანაში, ზოგიერთი ჩვენი დიდერი არის ციხეში, სურ ახდახან დავით კირკიტაძე დააპატიმრეს და ეს რა თქმა უნდა, ართულებს ორგანიზაციის მუშაობას. იმისათვის, რომ ეს გადაიდარხოს, ჩვენ უნდა ვიყოთ მუდმივად მოქნილები და ვაკეთოთ ისეთი რამ, რაც არ შეაჩერებს არც ერთი დღით ჩვენს ბრძოლას.“

ამიტომ, ამ სიტუაციაში, მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევა, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ სტირდება ადგილზე დიდერი, რომელიც ამ დროშას აიტაცებს თქვენთან ერთად. ვფიქრობ, გრიგორ ვაშაძემ ძალიან მაგრად ჩაატარა საპრეზიდენტო კამპანია და მე პირადად მას დავუჭერდი მხარს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თანამდებობაზე. ჩვენ გვჭირდება ახალი ხარხის ჩართვა პოლიტიკურ საბჭოში, მაგრამ როგორ უნდა შეირჩეს ეს ხარხი, ვინ უნდა შეარჩიოს – ჩვენ გვყავს 400 ათასი

რეგისტრირებული აქტიური მხარდამჭერი და აქტივისტი.

თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილებები, არა ვილაცების მეშვეობით, არა კურსებში, არა ვილაცებთან მოლაპარაკებით, არამედ თქვენ, პერსონალურად უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და ედუქტრონური კენჭისყრის მექანიზმები, რომელიც არსებობს, ამის საშუალებას იძლევა. შეგვეძლება ხმა მივცეთ ჩვენი „აიფონით“, აპრიკაციით, რომელიც გექნებათ „აიფონში“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.